ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1040485

ნომერი: AR1182673

თარიღი : 06.12.2013

გაცემის თარიღი : 13.12.2013

გაცნობის თარიღი : 13.12.2013

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მეველეს ქუჩა,ნავთლუღის ბაზრის მონაკვეთში;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბესიკ გაბათაშვილი პ/ნ 12001058133
- გარდაბანი ს. დიდი ლილო

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულადატვირთული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:

ქ. თბილისის 2008 წლის 22 დეკემბრის #24.16.832 დადგენილებით დამტკიცებული სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის დებულების მე-2 მუხლის ”ა” ქვეპუნქტის მიხედვით სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიზანია მის კომპეტენციას მიკუთვნილ საკითხებთან დაკავშირებით ქ. თბილისის ადმინიტსრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში ერთიანი საჯარო ხელისუფლების განხორციელება. მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის ”ფ” ქვეპუნქტის თანახმად სამსახურის უფლებამოსილებაში შედის ქალაქის ფუნქციური ელემენტების განვითარების პროცესის მოდელირება, ურბანული ქსოვილის ცალკეული მახასიათებლების ანალიზი, საპროექტო ვარიანტების და მიღებული გადაწყვეტილებების შეფასება. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის, ”ე” ქვეპუნქტით სამსახურს თავის ფუნქციების შეუფერხებელი განხორციელების მიზნით უფლება აქვს განიხილოს შენობა-ნაგებობის ექსტერიერებისა და ინტერიერების პროექტები, მოახდინოს ფერთა შეთანხმება. სამსახურის უფლებამოსილებიდან გამომდინარე (გადასინჯოს წარმოდგენილი საპროექტო ობიექტების ვიზუალური მხარე და მისი შემდგომი განვითარების კუთხე) და ამასთანავე, ვინაიდან აღნიშნული ობიექტი განთავსებულია ქალაქგეგმარებით კარკასზე, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შენობა-ნაგებობებს და მათზე განთავსებულ კონკრეტული დეტალების ვიზუალურ მხარეს, ასევე შესაბამისი ზონირების რუკიდან ირკვევა, რომ საპროექტო ობიექტი მდებარეობს სატრანსპორტო ზონა-1-ში (ტრ-1), რომელიც მოიცავს არსებულ და საპროექტო (პერსპექტიულ) ქუჩებს, გზებს, მოედნებს, გზატკეცილებს, ხიდებს, ტროტუარის მიმდებარე გაზონს, ზღუდარებს და ა. შ (გასხვისების ზოლის ჩათვლით) და ამასთან აღნიშნული ტერიტორია თავისი ადგილმდებარეობის ფართობის სიმცირის და მასზე მოქმედი ფუნქციური ზონით წარმოადგენს შეუსაბამო მიწის ნაკვეთს. ასევე წარმოდგენილი სავაჭრო ჯიხურის პროექტი მოცულობითი, არქიტექტურულ–კომპოზიციური და მხატვრული გადაწყვეტილებების მხრივ ვერ უზრუნველყოფს ისეთი განაშენიანების ჩამოყალიბებას, რომელიც დააკმაყოფილებდა ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს. ამასთან მითითებულ ადგილას ობიექტის განთავსება (რომელიც განთავსებულია ვიწრო ტროტუარზე) გამოიწვევს ფეხმავალთა თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვას. აღნიშნული გარემოებების გამო, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.